სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობა და გამოუყენებელი შესაძლებლობები, სამშენებლო სექტორის მაგალითზე

სტუდენტები: თუთანა სიჭინავა

ეკატერინე თავხელიძე

ნატო მაჩაბლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში, „მენეჯმენტში“ და „ფინანსებისა და საბანკო საქმის“ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირება

ხელმძღვანელი: ლარისა პატარაია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

უკანასკნელ პერიოდში დამდგარ ეკონომიკურ კრიზისს, ლარის კურსის გაუფასურებას და არასტაბილურ საგადამხდელო ბალანსს ექსპერტები და ეკონომისტები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკლებობას, მათი შემოდინების სიმცირეს და შესაბამისად, ქვეყანაში უცხოური ვალუტის დეფიციტს უკავშირებენ.

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში შესწავლილ იქნა საქართველოს საინვესტიციო გარემო, განსაზღვრულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყობს ეროვნულ ეკონომიკაში ფულადი რესურსების შეუფერხებელ განთავსებას. წარმოჩენილია ქვეყნის საინვესტიციო გარემოში არსებული ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან; პირველ ნაწილში მიმოხილულია ინვესტიციების არსი, საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო, საკანონმდებლო რეგულაციები და განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამშენებლო სექტორში; ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს საველე და სამაგიდო კვლევას, რომელთა მიზანია შევაფასოთ სამშენებლო სექტორის მიმზიდველობა და თბილისის სამშენებლო ბაზრის განვითარებასა და მოთხოვნა-მიწოდებაზე მოქმედი ფაქტორები.